პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 თებერვალი პარასკევი. 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 32 (14332)

ლენინურ შრომითს ვაახტაზე

ერროვნული ბიბლიოთეკა

ჯარგ მაჩვენებლებს აღწევს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის ქარხანა „კიდრომეტეოხელსაწყოს“ კოლექტივი. აქ გაოცდილი ხარატის სახელი მოიხვეჭა ჯემალ ნიკოლაიშვილმა, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს დღიურ დავალებებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას შუშებს. სურათზე: ჯ. ნიკოლაიშვილი.

ფოტო ზ. სვანიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ზედიზედ მეთორმეტედ

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა (დირექტორი მ. სარჯველაძე), რომელიც კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებს, ერთ-ერთი პირველი გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ფაბრიკის კოლექტივმა კარგად დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი და აქტიურად ჩაება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დღეებში ფაბრიკის კოლექტივმა ახალი სასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვიდან. კოლექტივს 1968 წლის მეოთხე კვარტალში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის ზედიზედ მეთორმეტედ გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. („კომუნისტის“ კორ.).

არცერთი ბავშვი სკოლის გარეთ!

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სახალხო განათლების ორგანოები, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწევიან საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლისათვის, იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც სკოლის წინაშე დააყენა პარტიის XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის ცნობილმა დადგენილებამ „საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სავსებით დროულია, რომ რესპუბლიკაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი დადგენილებით თებერვალი გამოცხადებულია საყოველთაო ათწლიანი სწავლების განხორციელების საკითხებზე კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების ერთთვიურად, რასაც ქმედითად უჭერენ მხარს, ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები. რესპუბლიკაში ყველა ღონისძიებით ეწყობა ხელი იმას, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს კანონი საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების შესახებ. ეს ხომ საფუძველია საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის. ახლა მთავარია ვეცადოთ და ყველაფერი გავაკეთოთო იმისათვის, რომ არცერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ, არცერთი მოსწავლე არ გავიდეს სკოლიდან, აუცილებლად ყველამ დაამთავროს რვა კლასი და შემდეგ ყველამ — საშუალო სახლებელი. ცხადია, საყოველთაო საშუალო განათლების შემოსაღებად არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, არამედ სპეციალურმა სასწავლებლებმაც, პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმაც, სალამოსა და დაუსწრებელმა სკოლებმაც უნდა გაწიონ დიდი შრომა. პროპორციებს განსაზღვრავს სახელმწიფო გეგმა. მაგრამ ახალგაზრდობის საშუალო განათლების განსახორციელებლად საშუალო სასწავლებლების მთელი სისტემის ურთიერთშეთანხმებულობის პრინციპი ერთადერთი სწორი პრინციპია. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი საშუალო განათლებას მაინც სკოლაში მიიღებს. თვითეულ მოსწავლეს ღრმად უნდა ჰქონდეს შეგნებული, და ეს ჩვენ უნდა შევაგნებინოთ, — რომ აუცილებელია საშუალო განათლების მიღება. მაგრამ ამის მარტო შეგნება როდი კმარა. ჩვენ — სკოლას, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ საზოგადოებრიობას — გვმართებს ყველა პირობა შეუქმნათ საყოველთაო სწავლებას.

დიდად დამფიქრებელია, როცა მოსწავლე გადის სკოლიდან. გასულ სასწავლო წელს, რესპუბლიკაში 6.619 მოსწავლემ დატოვა სკოლა! ეს ყველა ჩვენგანის ბრალია, ყველა იმისი, ვისაც საერთო რამ აქვს სკოლასთან. ცხადია, პარტიული ორგანიზაციები გულგრილი ვერ დარჩებიან მსგავსი მოვლენების მიმართ და მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსახწორებლად, იმ პირობების, იმ მიზეზების სალიკვიდაციოდ, რაც მოსწავლის სკოლიდან გასვლას იწვევს. ობიექტური ითვალსაზრისით, ეს მიზეზები ბევრია; საგრძნობლად ბევრია იგი სოფლად. სწორედ სოფლის სკოლებიდან არის გასული ყველაზე დიდი რაოდენობა მოსწავლეებისა—4.490! ეს მიზეზია უმთავრესად სასკოლო მატერიალური ბაზის უკმეხლობა, სკოლის სიშორე საცხოვრებელი ადგილიდან; ტრანსპორტით გადაყვან-გადმოყვანის მოუწესრიგებლობა; ეს მიზეზებია სასკოლო ინტერნატების ქსელის სიმცირეც, სასკოლო ბუფეტების არანორმალური მუშაობაც, სკოლებთან გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფების არასათანადო ორგანიზაციაც; მშობლებთან სუსტი მუშაობაც; მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის უფერულობაც... მიზეზი ბევრია. ოვითეული მათგანის სალიკვიდაციოდ შეუპოვარი თანმიმდევრული მუშაობა გვმართებს.

თუ არა აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე, თუ არა სკოლებისა და მშობლების ერთობლივი მოქმედების სისუსტე, — რა უნდა დავუდოთ სარჩულად გასულ სასწავლო წელს 263 მოსწავლის გარიცხვას სკოლიდან... ცუდი ყოფაქცევის გამო!

ზოგჯერ სასკოლო შენობის უქონლობა ან უვარგისობა და მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილიდან სკოლის შენობის სიშორეა ბავშვის სკოლიდან გასვლის მიზეზი, ეს განსაკუთრებით უნდა აღელვებდეს ჩვენს მშენებლებს, როგორც, მართალია, დიდ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ზოგან ჯეროვანი ტემპი არა აქვთ აღებული.

როდესაც მეორეწლიანობის, ცუდი შეთვისების მიზეზით სკოლის მიტოვების თუნდაც მცირეოდენი შემთხვევები გვაქვს, ეს მთელ პედაგოგიურ კოლექტივს უნდა მოუწოდებდეს ყოველმხრივ ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა. დამფიქრებელია ასეთი სტატისტიკური მონაცემები: 1967-1968 სასწავლო წლის ბოლოს საზაფხულო გამოცდების შედეგად I-VIII კლასებში მეორე წლისათვის დატოვებულ იქნა 29.915 მოსწავლე. 55.694 მოსწავლემ მიიღო საშემოდგომო გამოცდა, რომელთაგან, საშემოდგომო გამოცდების შედეგად, შემდეგ კლასებში გადაყვანილ იქნა 45.319, ხოლო დანარჩენი 10.375 — მეორე წლისათვის იქნა დატოვებული იმავე კლასებში. ამრიგად, გასული სასწავლო წლის საზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად მეორე წლისათვის იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 40.290 მოსწავლე, მათგან 1968-1969 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლებში გამოცხადდა მხოლოდ 37.832 მეორეწლიანი მოსწავლე. სკოლა დატოვა 2.458 მოსწავლემ. აღსანიშნავია, რომ მეორე წლისათვის დატოვებულ მოსწავლეთა ყველაზე დიდ პროცენტს (4,6) მშობლიურ ენაში ჰქონდა ჩამორჩენა, შემდეგ ჩამორჩენილია მეტი პროცენტი მოდის რუსულ ენაში, არითმეტიკაში, ალგებრასა და გეომეტრიაში. უთუოდ ეს ფაქტიც ახდენს გავლენას იმაზე, რომ თუ მე-9-10 კლასებში ნორმალურად 35 მოსწავლე უნდა იყოს, ფაქტიურად საშუალოდ გვყავს 24,8 მოსწავლე.

შემდგომ სრულვყოთ სწავლება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მკვეთრად ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე და ქმედითობა — ასეთია გადაუდებელი ამოცანა, ამას მთელი სერიოზულობით მოითხოვს ცხოვრება სკოლისაგან, რომელიც კვლავაც უნდა ვითარდებოდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი, პოლიტექნიკური სკოლა, რომელმაც მოსწავლეებს უნდა მისცეს მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრი ცოდნა, ჩაუნერგოს და განუვითაროს მაღალი კომუნისტური შეგნება, მომამზადოს ცხოვრებისათვის, იმისათვის, რომ შეგნებულად აირჩიოს პროფესია.

საყოველთაო ათწლიანი სწავლების განხორციელების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებანი, კერძოდ, წლიდან წლამდე არ სრულდება მოსწავლეთა კონტინგენტისა და მეცხრე კლასში მოსწავლეთა მიღების გეგმები. მოსწავლეთა მოძრაობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა ნაკლოდ ნაწილი სკოლის გარეთ რჩება, არასაპატიო მიზეზით გადის სკოლიდან, ან არ იღებს სრულ საშუალო განათლებას. ყოველივე ეს იმის შედეგიც არის, რომ ზოგან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ უწევენ საკმაო დახმარებას სახალხო განათლების ორგანოებს ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივად მუშაობის გაუმჯობესებაში, პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდაში მოსახლეობას შორის. საბჭოების ადგილობრივმა ორგანოებმა მომავალი არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ყველაფერი უნდა იღონონ განათლების ორგანოების დახმარებისათვის საყოველთაო ათწლიანი სწავლების განხორციელების მიზნით, ამ საქმეში გამოიყენონ ერთთვიური, რომელიც ახლა რესპუბლიკაში ეწყობა საყოველთაო ათწლიანი სწავლების განხორციელების საკითხებზე.

არც ერთი ბავშვი და მოზარდი სკოლის გარეთ! მოსწავლე ნუ გავა სკოლიდან! — აი ამ დევიზით უნდა წარვმართოთ ამ დარგში მუშაობა.

ხუთწლედი — ვადამდე!

დროშა — რკინიგზელებს

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1968 წლის მეოთხე კვარტალისთვის.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა კვლავ მიენიჭა ამერიკავკასიის რკინიგზის კოლექტივს. მეგობრობის მაგისტრალის მშრომელებმა, თართოფი გაიმარჯვა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, გადაჭარბებით გაანაღდეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და მიტანის კვარტალური დავალება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მომრავი შემადგენლობის გამოყენება. მაგალითად, ვაგონების ბრუნვა 4 კვარტალში დაჩქარდა 16,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8,6 პროცენტით. (საქდესი).

ბუნებრივი აბრეშუმის ძაფის ხარისხი

ფულუაქიძე. (საკ. კორ.). სასახელოდ შრომობენ წელს აბრეშუმის ძაფსაღებ-საკერავი ფაბრიკის ფეიერები, რომლებმაც იანვრის დავალება 105 პროცენტით გაანაღდეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი. პირველი ხარისხის ნაკერი აბრეშუმის ძაფის გამოშვებამ 92 პროცენტს მიაღწია და ეგზამით გათვალისწინებულს 12 პროცენტით გადააჭარბა. ასევე გაუმჯობესდა ხამი აბრეშუმის ძაფის ხარისხიც.

ლენინურ შრომითს ვახტაზე დაწინაურდნენ ძაფსაღები და საკერავი საამქროები, რომლებსაც ჯ. ქუთათელაძე და ვ. მანდარია უძღვებიან.

ბოსკოვი

ბოსკოვი. უამრავი სხვადასხვა ფერის ბროშურა აქ, რომლებზეც წლებს დაღი დაუსვამთ. „ბუდაპეშტი. 1919“. — წარწერილია მათს ყდებზე. ეს არის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინათ გამოუციათ ამ წარეთის საბჭოთა რესპუბლიკაში. მათ შორის არის „სახელმწიფო და რევოლუცია“, „თეზისები და მოსაზრებანი ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“ (კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესი), „ბრძოლა პურისათვის“ — სიტყვა

ბუნებრივი აბრეშუმის ძაფი

ბუნებრივ აბრეშუმ-ძაფ-ბოლ-ბ-ბ-ბ

დიადი იუბილეს შესახვედრად

...ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის მზადების დროს კპრტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის. კომუნისტთა და უპარტიოთა ფართო მასების მიერ რევოლუციური თეორიის ღრმა შესწავლისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მზადების შესახებ“.

სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს მუშები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ლენინური სახალხო სკოლის შექმნას.

ფოტო ს. კილაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური სახალხო სკოლები

მასობრივი პროპაგანდის ახალი ფორმა

ამას წინათ ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა დნეპროპეტროვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის მუშათა გადაწყვეტილება **ლენინური სახალხო სკოლების შექმნის შესახებ.**

ინიციატორები თავიანთ წერილში აღნიშნავდნენ:

„ახლა გვინდა კიდევ და კიდევ მივმართოთ ცხოვრებისა და ბრძოლის ლენინურ სახელმძღვანელოს, რათა სახელოვანი ასი წლის იუბილემდე დარჩენილი დრო გახდეს საყოველთაო ლენინური სწავლების დრო“.

და აი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულ კომიტეტში გაიმართა მსჯელობა დნეპროპეტროვსკელთა ამ ინიციატივის შესახებ. პარტიული კომიტეტის მდივანმა **ოთარ გუნინაკაშვილმა** მოუთხრო ამხანაგებს ლენინური სახალხო სკოლის ხასიათსა და ამოცანებზე. კერძოდ, აღნიშნა:

— ეს მოხდა მარშან, როცა უკვე გამოქვეყნებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ. მილსაგლინავი ქარხნის პარტიულ კომიტეტში გამოცხადდნენ უპარტიო მუშები და წინადადება წამოაყენეს შექმნილიყო მათთვის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი სკოლები.

ცხადია, ასეთი წინადადება ერთი შეხედვით უჩვეულოდაც კი ეჩვენათ. ეგონათ, რომ საქმე ჰქონდათ პოლიტიკური სწავლების რაღაც დუბლირებასთან. მაგრამ მუშათა წარმომადგენლები პრინციპულად სვამდნენ კითხვას: რა ვუყოთ უპარტიო მუშებს? რატომ არიან ისინი გამორჩენილნი მხედველობიდან? მათაც ხომ აინტერესებთ იცოდნენ ბელადის ცხოვრება და ბრძოლა.

საკითხი გატანილ იქნა საამქროს მუშათა კრებაზე. მუშებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ლენინური სახალხო სკოლის შექმნას. მალე ერთ ასეთ სკოლას მოჰყვა მეორე, მესამე... სულ ქარხანაში შეიქმნა 20 და დასაბამი მიეცა საყოველთაო ლენინურ სწავლებას მთელ დნეპრისპირეთის სამრეწველო საწარმოებში. ბოლოს სწავლების ამ ფორმას ხელი მოჰკიდეს სოფლის მშრომელებმა.

პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტმა და პროფსაბჭოს საოლქო პრეზიდიუმმა განიხილეს ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის მუშათა თაოსნობა და მოიწონეს იგი.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ **ლენინური სახალხო სკოლები სრულებით არ ცვლიან პარტიული განათლების სისტემაში შექმნილ სკოლებსა და თეორიულ სემინარებს, არც იმ ორგანიზაციული ფორმებს, რომლებიც მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ამჟამად მოქმედებენ. ლენინური სახალხო სკოლა იქნება მხოლოდ ცოდნის შეძენის ერთ-ერთი ახალი წყარო, რომელსაც ხარბად დაეწაფება მუშათა და კოლმეურნე გლეხთა მრავალმილიონიანი არმია.**

პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. ბუნიკაშვილს კიდევ უნდოდა ესაუბრა დნეპროპეტროვსკელთა ინიციატივზე, მაგრამ ესეც სკამრისად ჩათვალა. საუბარში ჩაება ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს პარტბიუროს მდივანი **ი. აბრამიშვილი.**

— ვფიქრობ აქ ყველაფერი ნათელია, — განაცხადა მან, — დნეპროპეტროვსკელი ამხანაგების ინიციატივას მხარი უნდა ავუბათ. ჩვენს მუშებს სხვებზე ნაკლებად როდი აინტერესებთ დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა, მისი მჭიდრო კავშირი საქართველოს რევოლუციურ მოძრაობასთან, დღევანდელობასთან. ამიტომ პარტიულ კომიტეტში წინადადებით შემოვდივარ მოვიწვიოთ ჩვენს საამქროში ღია პარტიული კრება, და თვითონ დარწმუნდებით, როგორ დაუჭერენ მუშები მხარს ლენინური სახალხო სკოლის შექმნას.

წინადადება მიღებულ იქნა. ღია პარტიული კრების მოწვევამდე შეჩერდნენ მთავარზე — ვინ უნდა ყოფილიყო ლენინური სახალხო სკოლის პროპაგანდისტი. საჭირო იყო შეერჩიათ მცოდნე, გამოცდილი, ავტორიტეტიანი, პოპულარულად და დამაჯერებლად მოსაუბრე ამხანაგი. პარტბიუროსა და პროფკავშირის საამქრო კომიტეტის წევრები ახლა ერთად ფიქრობდნენ ამაზე. პროპაგანდისტის რამდენიმე კანდიდატურა წამოაყენეს. ბოლოს ეს საპატიო საქმე საამქროს ცვლის უფროსს, ახალგაზრდა კომუნისტს **ზ. ბუცხრიკიძეს** მიანდეს.

და აი დაიწყო № 1 საამქროს პარტიული ორგანიზაციის ღია კრება. კრების დღის წესრიგშია საკითხი „ლენინური სახალხო სკოლის შექმნის შესახებ“. საერთოდ მუდამ საინტერესოა მუშათა კრებაზე დასწრება. მუშები ლაპარაკობენ გულიანად და გულწრფელად. ზოგჯერ მათი პატარა გამოსვლაც კი მთელ მოხსენებად ღირს. ასე იყო ამჯერადაც. საკითხის გარშემო გაკეთებული ინფორმაციის შემდეგ კრების თავმჯდომარე სიტყვას რიგრიგობით აძლევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მდნობელ ბრიგადირს **ზ. ბუცხრიკიძეს,** უპარტიო მოწინავე მუშას **თეიმურაზ მირცხულავას,** საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანს **გმირდა სარალიძეს,** მეკაზმე **ეგნატენი არეშაძეს** და სხვებს. ორატორები ერთხმად უჭერენ მხარს ლენინური სახალხო სკოლის შექმნის აზრს და შემოაქვთ კონკრეტული წინადადებანი ამ სკოლის მომავალი მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისათვის.

მუშები ლენინზე ლაპარაკობდნენ ღრმა სიყვარულით და ლენინიზმის დაუფლებისადმი დიდი ინტერესით.

საამქროს ღია პარტიულ კრებაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ლენინური სახალხო სკოლის მუშაობისათვის ქარხნის დირექციამ და ვახდინოთ მუშგლეხინის „რეორგანიზაცია“, „უმჯობესია ცოტა და კარგი“, „ფურცლები დღიურიდან“. ამავე წელს რამდენიმე თემა მიეძღვნება ვ. ი. ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ გაწეულ მუშაობას.

ლენინურ სახალხო სკოლაში სწავლების მესამე წელი ემთხვევა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს. ამიტომ ეს წელი მთლიანად დაეთმობა საქართველოს კომპარტიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლას და იმის გაცნობას, თუ როგორ იბრძოდა და იბრძვის ქართველი ხალხი ლენინური ანდერძის განხორციელებისათვის. სკოლის მსმენელები გაეცნობიან ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერების მოგონებებს ვ. ი. ლენინზე, დიდი ბელადის უმნიშვნელოვანეს წერილებს საქართველოს კომუნისტებისადმი და სხვა მასალებს, რომლებიც სისტემურად დაკავშირებულია ლენინიზმის იდეების ზეიმთან საქართველოში.

უდავოდ კარგი ჩანაფიქრია ის, რომ სკოლის მსმენელები შეხვდებიან ძველ რევოლუციონერებს, პარტიის ვეტერანებს, პირველი ხუთწლედის დამკვრელ ადამიანებს. მათთვის მოეწყობა ავრეთვე ქრონიკალურ-დოკუმენტური სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჩვენება, ექსკურსიები რევოლუციურ და ისტორიულ მუზეუმებში.

აქვე დადგინდა, რომ ლენინური სკოლების მეცადინეობა გაიმართება თვეში ორჯერ. მეცადინეობის ხანგრძლივობა იქნება საათი — საათნახევარი.

№ 1 საამქროს ღია პარტიული კრება დამთავრდა. მისი მონაწილენი კმაყოფილი არიან. გაჩნდა მასობრივი პროპაგანდის ახალი ფორმა, რომელიც სულ მალე დამკვიდრდება იდეურ-პოლიტიკური მუშაობის სისტემაში. მუდმივი სწავლა არა მარტო თვითეული კომუნისტის, ყველა მშრომელთა სასიცოცხლო საჭიროება, მათი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და იდეური წრთობის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლების ქმედითი საშუალებაა. ლენინური სახალხო სკოლის შექმნას უპარტიო მასებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების ახლანდელ პერიოდში, როცა იმპერიალიზმის ძალები მთავარ იმედს ამყარებენ ჩვენს რიგებში უცხო შეხედულებების „შემოღწევაზე“, იდეოლოგიურ დივერსიებზე.

მიგაცეთ ლენინურ სახალხო სკოლებს ფართო გაქანება! ამ დევიზით კრების შემდეგ თავიანთ გაფართოებულ სხდომაზე კვლავ შეიკრიბნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრები. მათ ერთხმად მოიწონეს № 1 საამქროს პარტიული ორგანიზაციის ღია კრების გადაწყვეტილება დნეპროპეტროვსკელთა მაგალითისამებრ ლენინური სახალხო სკოლების შექმნის შესახებ. პარტიულმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება და მოუწოდა ძირითად საამქროთა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ № 1 საამქროს ღია პარტიულ კრების გადაწყვეტილებას ლენინური სახალხო სკოლის შექმნის თაობაზე.

ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა მაგალითს მეორე დღესვე გამოეხმაურნენ ზესტაფონის ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები. ლენინური სახალხო სკოლები შეიქმნა კაბელის ქარხანაში, სანერგის საბჭოთა მეურნეობაში, სამეგრელო ფაბრიკაში, ტაბაკინის კოლმეურნეობაში. ყველგან მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე, რომლებიც მიეძღვნა სკოლების შექმნას, მონაწილეობას იღებდნენ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიონული კომიტეტის ბიურომ მოიწონა ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს მუშა-მოსამსახურეთა თაოსნობა დნეპროპეტროვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის მუშების მაგალითის მიხედვით ლენინური სახალხო სკოლის შექმნისა და მიიღო შესაბამისი დადგენილება. რაიონის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობად მიჩნეულია დიდი ყურადღება მიაქციონ და მხარი დაუჭირონ ლენინური სახალხო სკოლების მუშაობას. უახლოეს დღეებში შეიქმნება და მუშაობას დაიწყებს ამ სკოლის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარი, პერიოდულად მოეწყობა „კინოლენინიანა“, პარტიის რაიონული კომიტეტის პოლიტიკური მომხსენებლები, ლექტორები გამოვლენ ლექცია-მოხსენებებით სკოლების მსმენელთა წინაშე.

ლენინური სკოლების შექმნა, — ნათქვამია პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებაში, — სრულებითაც არ ცვლის პარტიული პროპაგანდის არც ერთ ნაცად ფორმას, არამედ შეავსებს მათ. ამ სკოლების შექმნა კომუნისტების პოლიტიკური განათლების ქსელის მუშაობისადმი ყურადღებას კი არ ანელებს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო აძლიერებს მისთვის პასუხისმგებლობას.

რაიონული გაზეთისა და მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციებს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ ლენინური სახალხო სკოლების მუშაობის პირველი დადებითი გამოცდილება, დაბეჭდონ მოწინავე პროპაგანდისტების წერილები, მეთოდური რჩევა-დარიგება, მოკლე პოპულარული მასალები სკოლის მსმენელთა დასახმარებლად.

ასე ჩაეყარა საფუძველი ლენინურ სახალხო სკოლებს ზესტაფონში.

აქაური ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მასობრივი პროპაგანდის ახალი ფორმების შექმნას. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას პროპაგანდის მაღალი იდეური დონისათვის. საქმე ამა თუ იმ ღონისძიებათა მარტო რაოდენობა როდია, მთავარია მათი ხარისხი, ქმედითობა, პოლიტიკური და ემოციური გავლენა ადამიანთა გონებასა და გულზე.

მთელი პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძალა მისი შინაარსია. და დღეს ეს ძალა უნდა მოხმარდეს იმას, რომ ყოველმხრივ ვაჩვენოთ ჩვენი პარტიისა და ხალხის ბრძოლა ლენინის დიადი ანდერძის განხორციელებისათვის, რაც შეიძლება პოპულარულად განვმარტოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმს მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის, მთელი სიდიადით გავაშუქოთ ვ. ი. ლენინის ისტორიული როლი.

ბ. ნაბუღგია.

მხარი დავუჭიროთ ზესტაფონელთა თაოსნობას!

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სტუდენტთა შორის მაღალი კულტურისათვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში გაიმართა პარტიისა და კომკავშირის ქალაქის რაიკომების პირველი მდივნების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების რექტორების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

მოხსენება საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სტუდენტ ახალგაზრდობაში მაღალი კულტურისათვის ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **შ. ყარყარაშვილმა.**

მოხსენებაში აღინიშნა ის მუშაობა, რომელიც ქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გასწიეს მეცნიერულ ცოდნას დაუფლებული, იდეურად გამოწრთობილი, საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგული კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში.

თბილისის უმაღლესმა სასწავლებლებმა შარშან მოამზადეს სამასი სხვადასხვა პროფესიის 13 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც წარმატებით ჩაეხნენ ხალხო-სამეურნეო ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ახალგაზრდობის აღზრდა მარქსისტულ-ლენინური რწმენის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით დიდადაა დამოკიდებული უნარიან ხელმძღვანელობაზე, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებაზე.

მაგრამ ჯერ კიდევაა შემოხვეები, როცა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა აქტიურად არ მონაწილეობს აღმზრდელობით მუშაობაში, განზე დგას სტუდენტთა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერონ ადმზრდელობითი კონტაქტები ახალგაზრდობასთან, გააქტიურონ ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოების, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებების, მხატვრული თვითმოქმედების წრეების საქმიანობა, რომლებმაც უნდა განავითარონ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი დამოკიდებულება და ინდივიდუალობა.

პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გააძლიერონ სტუდენტთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, აქტიური პროპაგანდა გაუწიონ იურიდიულ ცოდნას, საბჭოთა კანონიერებისა და კომუნისტური მორალის საკითხებს.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ი. ვეკუა,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი **რ. ნაცვლიშვილი,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი **ი. სარიშვილი,** პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზია,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **ბ. გელბახიანი,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **კ. კეთილაძე,** მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დირექტორი **რ. როინიშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. ფორაქიშვილი.**

თათბირის შედეგები შეაჯამა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

(სრული).

გაზაფხული გვიცდიან

ეს დღეები ცხინვალში

ზამთრის სუსხი კვლავ იგრძნობა ლიახვის ხეობაში; უბერავს თებერვლის ცივი ქარი; რამდენიმე თვეა თოვლის საფარიც არ მოშორებია საკოლმეურნეო მინდვრებს, მაგრამ გაზაფხული მაინც ნელ-ნელა მოიწევს სოფლისაკენ.

ამას ითვალისწინებენ ცხინვალის რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამ მხრივ მათ მდიდარი გამოცდილება აქვთ, იციან, თუ რა დიდმნიშვნელოვანია მოზაფხულებული შეხვედ მინდვრის სამუშაოებს: დროულად დათესო, მოუარო ბაღებს, ვენახებს, მოიყვანო ბოსტნეული, ბალეული.

გაზაფხულისათვის მზადება ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომით დაუწყიათ. მთელი ფართობი, რომელიც საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესოს, მოხნულია მზრალად. 2.100 ჰექტარ მზრალად ნახნავზე ამ გაზაფხულს დათესავენ ხორბლეული და ქერი, სიმინდი და შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული და კარტოფილი.

სწორედ იმ დღეებში, როცა ცხინვალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებას ვამოწმებდით, პარტიის ცხინვალის რაიკომის ბიუროს სხდომაზე განხილულ ეს საკითხი. მსჯელობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მექანიზატორები. ყველა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ ნელ-ნელა საგაზაფხულო თესვისათვის მზადება წინა წლებთან შედარებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. მაგრამ გამოვლინდა ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფხვრისათვის დასახეს ღონისძიებანი.

ჩვენ უკვე ვთქვით მზრალის შესახებ, მაგრამ მოხნულ მინდვრებს გარდა თესვისათვის საჭიროა მაღალხარისხოვანი, სათეს კონდიციამდე აყვანილი თესლი. მსჯელე-მთესველებს დასჭირდებათ მინერალური და ორგანული სასუქი, კარგად მომზადებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. საჭირო იქნება სამუშაოების ჩატარება ბაღ-ვენახებში, ეს მოითხოვს მავნებლებთან ბრძოლისათვის სათანადო შხამქიმიკატების მომარაგებას.

როგორ არის მდგომარეობა ამ მხრივ?

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესლი რაიონს ესაჭიროება 1.256 ცენტნერი. უკვე მომარაგებულია, გარჩეული, გაწმენდილი და სათეს კონდიციამდე აყვანილია 1.442 ცენტნერი.

ამ მხრივ დროზე იზრუნეს სოფლების კეხვის, ქსუისის, ღმერთისის კოლმეურნეობებმა, თამარაშენისა და არეშეის საბჭოთა მეურნეობებმა. კეხვის კოლმეურნეობა თავთავიან კულტურებს უმთავრესად მთის ფერდობზე თესავს. მიუხედავად ამისა, აქ ყოველთვის ხორბლისა და ქერის მაღალ მოსავალს იღებენ. რაიონში სახელმოხვეჭილი არიან აქაური მესიმინდეებიც. ეს იმის შედეგია, რომ კეხველები თესვისათვის საჭირო ღონისძიებებს ყოველთვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვან ახორციელებენ.

თესლის მომარაგებაში ვხედებით გულდამშვიდების ფაქტებსაც. აგროტექნიკური წესებით შაქრის ჭარხლები, იდეალურად გამოწრთობილი, საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგული კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში.

თბილისის უმაღლესმა სასწავლებლებმა შარშან მოამზადეს სამასი სხვადასხვა პროფესიის 13 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც წარმატებით ჩაეხნენ ხალხო-სამეურნეო ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ახალგაზრდობის აღზრდა მარქსისტულ-ლენინური რწმენის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით დიდადაა დამოკიდებული უნარიან ხელმძღვანელობაზე, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებაზე.

მაგრამ ჯერ კიდევაა შემოხვეები, როცა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა აქტიურად არ მონაწილეობს აღმზრდელობით მუშაობაში, განზე დგას სტუდენტთა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა გააძლიერონ ადმზრდელობითი კონტაქტები ახალგაზრდობასთან, გააქტიურონ ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოების, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებების, მხატვრული თვითმოქმედების წრეების საქმიანობა, რომლებმაც უნდა განავითარონ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი დამოკიდებულება და ინდივიდუალობა.

პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გააძლიერონ სტუდენტთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, აქტიური პროპაგანდა გაუწიონ იურიდიულ ცოდნას, საბჭოთა კანონიერებისა და კომუნისტური მორალის საკითხებს.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ი. ვეკუა,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი **ი. სარიშვილი,** პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზია,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **ბ. გელბახიანი,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **კ. კეთილაძე,** მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დირექტორი **რ. როინიშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. ფორაქიშვილი.**

თათბირის შედეგები შეაჯამა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

(სრული).

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველები გვწერენ

△ **ამ დღეებში** კიდევ ერთი სიკეთე შეემატა შალდელ მშრომელებს. მწყობრში ჩადგა სოფლის ახალი წყალსადენი. ყვარლის რაიონის ნეკრესის ჭალაში მთის წყარო, „სასახლის ბევად“ წოდებული, მძლავრ ნაკადად ჩაეშვა ოთხი კილომეტრი სიგრძის წყალსადენში.

რ. ცისკარიშვილი.

△ **ზამთარი** საზამთრო საძოვრებზეც მძლავრობს, მაგრამ გორეანის რაიონის ნინიანის კოლმეურნეობის მეცხვარეებს აფრთხილ დაუჭერიათ თადარიგი. თბილ ბინებში შრომა არ უჭირთ, ხოლო ადგილზე მიტანილი საკვები თოვლიან დღეებში მწვანე საზრდოს უჭირნლობას არ აგრძნობინებს ნაადრევ დოლში ჩამდგარ 650 ნერბს. ფერმის გამგე ო. აროშვილი, მწყემსები ი. და შ. ზირაქაშვილები, ა. ლაზაშვილი, მ. ჯიჭიურაშვილი, ვ. და თ. აროშვილები მზრუნველობას არ აკლებენ პირუტყვს, და აი ბარაქიანი დოლის პირველი ნიშნებიც გამოჩნდა. 180 ნერბიდან პირველმა 180-მა ბატკანმა აახმიანა ფარები.

ჯ. კახეთელიძე.

△ **მარშალი,** შორეულ მთიან რაჭის სოფლებშიც მკაცრი ზამთარია, მაგრამ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება წუთითაც არ წყდება. მსჯელობენ სოფლელები გაცხოველებით იმზადებიან გაზაფხულისათვის, ეწევიან ნარაფ-მანქანების შეკეთებას, იმზადებენ თესლს.

ამ დღეებში ამბროლაურის რაიონში გაიმართა თათბირი საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარების საკითხებზე. მოხსენებით გამოვიდა პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი მ. ბიბილაშვილი. თათბირს ესწრებოდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მექანიზატორები.

კ. რაჰველაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა დიპუტატ შ. ბერიანიძის თავმჯდომარეობით.

კომისიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია დეპუტატი შ. ყარყარაშვილი, მდივნად — დეპუტატი ზ. ოქრომჭედლიშვილი.

კომისიამ დაამტკიცა 1969 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმა.

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა რ. მიტრეველმა, ს. ჭილაიამ, შ. ბერიანიძემ, შ. ყარყარაშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძვაჭაძე. (სრული).

„კომუნისტის“ ბრიგადა

**ბ. ნაბუღგია, ბ. ბაბალიანი, ბ. ბაბალიანი, ბ. ბაბალიანი

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიო დღეს

ქრონიკა • ჟურნალისტიკა • ბიბლიოთეკა

ლ. სვობოდას სიტყვა

სრულიად საარმიო თათბირზე პრაღაში

პრაღა, 5 თებერვალი. (საკდესი). **დღეს პრაღაში დაიწყო ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის მეთაურთა და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაკთა სრულიად საარმიო თათბირი, რომელიც ეძღვნება არმიის თანამედროვე ამოცანებისა და მისი უკანასკნელი პერიოდის საქმიანობის შეფასებას.**

თათბირში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ.

ჩვენს არმიას, თქვა ლ. სვობოდამ, აქვს მშვენიერი სახალხო, პროგრესული ტრადიციები. იგი მტკიცედ იდგა და დგას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოზიციებზე, სვამენთან უპირს მხარს ინტერნაციონალისმოდგომი განვითარების პოზიტიურ მიზნებს. ხალხს სჯერა, პატივს სცემს, თავის არმიად მიაჩნია იგი, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია არის და უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. იგი უნდა იცავდეს ხალხის ინტერესებს, სოციალიზმის ინტერესებს, ღირსეულად და პატიოსნად ასრულებდეს იმ როლს, რომელიც ხალხმა დააკისრა: იდგეს ჩვენი სოციალისტური სამშენებლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე. სწორედ იმიტომ, რომ ეს თავისი მისია ღირსეულად შესასრულოს, იგი უნდა იყოს მაღალბრძოლისუნარიანი არმია.

ჩვენს არმიას რომ შეეძლოს ამჟამად და მომავალში შესასრულოს თავისი მისია, განაგრძო ლ. სვობოდამ, ჩვენ გაგიკლებთ ყურადღებას უნდა აღმოვფხვრათ წარსულის შეცდომები და ყურადღებიანად ვიმოქმედოთ, რათა არმია აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, რომელსაც ყოველ თანამედროვე არმიას უყენებს საზოგადოების განვითარება.

ჩვენი არმიის მთავარი ამოცანაა იდგეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა. თანამედროვე გაყოფილ სამყაროში არის ერთადერთი შესაძლო გზა ამისაკენ: სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან, კავშირისა და თანამშრომლობის გზა. ამიტომ ჩვენ აქტიურად ვიღებთ და მივიღებთ მონაწილეობას ვარშავის ხელშეკრულების სისტემის შემდგომ მშენებლობაში.

ამჟამად დასავლეთში ჩვენი მისამართით გაისმის თვალთმაქცური ხმები, მეგობრობისა, სოციალისტური საზოგადოების აყვავებითაც კი არიან თითქოს დაინტერესებული. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანასწორუფლებიანი და ერთიმეორისთვის ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც. მაგრამ ამ საქმეში არ ვიძლევით ილუზიებსა და ყალბ წარმოდგენას. ჩვენ ყოველდღიურად ვადგენთ თვალს მათ პოლიტიკას, სამარა მზადებასა და გეგმებს. და კარგად ვიცით, რომ თუ გვსურს დავიცვათ მშვიდობა და სოციალიზმის ინტერესები, ამას უნდა დავუპირისპირდეთ ჩვენი თავდაცვითი ღონისძიებანი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად. ეს გვაძლევა ჩვენი ხალხების ისტორიას. მიუხედავად პირიდან, როცა რესპუბლიკის ბურჟუაზიულმა წარმომადგენლებმა კაპიტულაცია მოაწერინეს, ხოლო დასავლეთელმა მოკავშირეებმა გვიღალატეს, მარტო საბჭოთა კავშირი თავიდანვე მტკიცედ იცავდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ინტერესებს.

აღნიშნა რა, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის აქვს საერთო ძირითადი ინტერესები: მშვიდობის შენარჩუნება, სოციალისტური საზოგადოების განვითარება და მისი დაცვა, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ამ საფუძველზე ვიძიებდეთ და ვპოულობდეთ საერთო გზას, ვავითარებდეთ ურთიერთობას.

მოხსენება ჩეხოსლოვაკიის არმიის ამ უკანასკნელი პერიოდის მუშაობისა და 1969 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა **მ. ძურმა.**

მეგობრული ვიზიტის შედეგები

ეროვნული ფრონტის ცკ-ის პრეზიდიუმში

პრაღა, 6 თებერვალი, (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ინფორმაციის მიხედვით, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

მინისტრმა ი. პაულიმ დამსწრეთ გააცნო ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის სსრ კავშირში მეგობრული ვიზიტის მიმდინარეობა და შედეგები. აღინიშნა, რომ ვიზიტმა მნიშვნელოვნად შეიწყო ხელი გამოცდილებისა და შეხედულებათა ურთიერთგაზიარებას ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

ვ. ულბრიხტის ინტერვიუ გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდს“

ბერლინი, 5 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცების საკითხები იქნება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრში, რომლებიც მალე გაიმართება, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის I ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა ინტერვიუში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“.

ვ. ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმატებით ხორციელდება ამოცანები, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-7 ყრილობამ დასახა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა მარქსისტულ-ლენინური პარტიის სწორი პროგნოზების, სტრატეგიისა და ტაქტიკის მეოხებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს და მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნის გზაზე.

ვ. ულბრიხტმა თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცება უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური ამოცანაა, რომელიც საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო კავშირით უნდა შესრულდეს. როგორც მან განაცხადა, საჭიროა უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სოციალიზმის ეკონომიური სისტემის შემდგომი სრულყოფა და მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა.

ვ. ულბრიხტმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განმტკიცდეს და გაძლიერდეს ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო და კულტურული თვალსაზრისით ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის.

ვ. ულბრიხტი შეხო ამოცანებს, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე დგას, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ საკითხებს, კლასობრივი ბრძოლის ძირეულ პრობლემებს ჩვენს ეპოქაში, იმპერიალისტური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას.

ამერიკის პასუხი საფრანგეთს

ვაშინგტონი, 6 თებერვალი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უილიამ როჯერსმა გუშინ საფრანგეთის ვაშინგტონელ ელჩს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა საფრანგეთის წინადადების პასუხად ახლო აღმოსავლეთის კრიზისის განიზიანაში საფრანგეთის, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეეხებ.**

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რ. მაკლოსკიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას აცნობა, რომ მზად არის პრინციპულად კეთილსასურველად განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ საფრანგეთის, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურ წარმომადგენელთა შეხვედრაში მონაწილეობის საკითხი, რათა შეისწავლონ ახლოაღმოსავლეთში უ ტანის სპეციალური წარმომადგენლის იარინგის მისიისათვის დახმარების გაწევის გზები და საშუალებანი და ხელი შეუწყონ მხარეებს შორის ურთიერთგაგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის სულისკვეთებით.

ამერიკის დაზვერვა აგრესიის თანამონაწილეა

ბეირუთი, 6 თებერვალი. (საკდესი). **ლიბანის გაზეთი „ალ-მუჰარირი“ აკვეხებს მასალებს, რომლებიც ამხილებენ ამერიკის დაზვერვის როლს ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტზე ისრაელთა თავდასხმის მოგზადებაში.**

„**ბეირუთის** საერთაშორისო აეროპორტში, — წერს გაზეთი, — მუშაობენ ამერიკელი მოხელეები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ დოკუმენტებზე ლიბანის სამოქალაქო ავიაციის ფრენის შესახებ, ცნობილია, რომ ისრაელი აეროპორტს თავს დაესხა სწორედ იმ მომენტში, როცა იქ იყო ლიბანის ავიაკომპანიების ყველაზე ბევრი თვითმფრინავი“.

„აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, — აღნიშნავს გაზეთი, — რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ხელი ურევია ბეირუთის აეროპორტზე ისრაელის თავდასხმაში“.

ამ დასკვნის დასადასტურებლად გაზეთს მოჰყავს სხვა მაგალითი, როცა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოიყენა ლიბანის აეროპორტში მომუშავე ამერიკელი მოხელეები. „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების ხელმძღვანელებმა ლიბანში ვიზიტი იულიუს სიგგერმა, რომელსაც აქვს დიპლომატიური რანგი, — წერს გაზეთი, — მოხელეებს მისცა მითითება კონტროლი გაუწიონ საფრანგეთის ყველა სატრანსპორტო თვითმფრინავს, რომლებიც სხდებიან ბეირუთის აეროდრომზე, რომ მიიღონ ცნობები იმ ტვირთის შესახებ, რომელსაც საფრანგეთი აწვდის ლიბანს“.

რა თქმა უნდა, აღნიშნავს ალ-მუჰარირი“, ამ ცნობებს იღებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, იქიდან კი — ისრაელის დაზვერვა.

„ლიბანის პატრიოტული ძალები, — წერს დასასრულ გაზეთი, — ხელისუფლებისაგან მოითხოვენ განახორციელონ ღონისძიებანი ლიბანის ტერიტორიაზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის აღსაკვეთად“.

ესპარეგიან მარიონეტებს

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები ეშზადება სამხრეთ ვიეტნამს გადასცეს „ა-37“ ტიპის 60 რეაქტიული ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. იუწყება რა ამას, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული ჯარები მათ გამოიყენებენ საომარი მოქმედებისათვის პარტიზანთა წინააღმდეგ. იმოწმებს რა „ინფორმირებულ წრეებს“, გაზეთი წერს, რომ დაახლოებით 20 თვითმფრინავისაგან შემდგარი „ა-37“-ის ესკადრილიას სამხრეთ ვიეტნამი მიიღებს მიმდინარე წლის გაზაფხულის დამდეგს, ხოლო ორ სხვას — ზაფხულში და შემოდგომაზე.

წინათ იუწყებოდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს სამხრეთ ვიეტნამს გადასცეს 300 ახალი ვერტმფრინავი.



ისრაელი აგრესორები არ წყვეტენ პროვოკაციებს არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ.

სურათზე: ბეირუთის აეროპორტი ისრაელი აგრესორების მეკობრული თავდასხმის შემდეგ.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ოკუპანტთა წინააღმდეგ

პარიზი, 5 თებერვალი. (საკდესი). **ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების არაბი მოსახლეობა სულ უფრო მტკიცედ იბრძვის ოკუპანტთა წინააღმდეგ.** როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ტელეგრამა „ორესპონდენტი იუწყება, ისრაელის პოლიციამ დღეს ხელკეტები გამოიყენა მასობრივი დემონსტრაციის გასარეკად ნაბლუსში (იორდანიის ოკუპირებული ნაწილი). დემონსტრაციაზე, რომელშიც მონაწილეობდა 3 ათასი კაცი, მათ შორის მოსწავლეები, მოიწყო იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ამას წინათ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი ბარბაროსულად გაუსწორდნენ არაბ მოსწავლეებს ლაზში.

ნაბლუსის დემონსტრაციის მონაწილენი გაიძახოდნენ ისრაელის საწინააღმდეგო ლოზუნგებს და ქვა დაუშინეს ისრაელ ჯარისკაცებს. მრავალი დემონსტრანტი დაჯატიმრეს. ქალაქში დაიხურა სკოლები და ბევრი მაღაზია.

პოლიციამ გარეკა მოსწავლეთა დემონსტრაცია ბორდანიის ქალაქ ჯენინში, რომელიც იგივეა ოკუპირებული. ოქვა ისრაელის ფრანს პრესი აღნიშნავს, რომ მეტ წილ ქალაქებში ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეწყობა მოსწავლეთა და სტუდენტთა გაფიცვები ლაზის სისხლიანი ამბების გამო.

ამერიკის პასუხი საფრანგეთის

ვაშინგტონი, 6 თებერვალი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უილიამ როჯერსმა გუშინ საფრანგეთის ვაშინგტონელ ელჩს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა საფრანგეთის წინადადების პასუხად ახლო აღმოსავლეთის კრიზისის განიზიანაში საფრანგეთის, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეეხებ.**

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რ. მაკლოსკიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას აცნობა, რომ მზად არის პრინციპულად კეთილსასურველად განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ საფრანგეთის, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურ წარმომადგენელთა შეხვედრაში მონაწილეობის საკითხი, რათა შეისწავლონ ახლოაღმოსავლეთში უ ტანის სპეციალური წარმომადგენლის იარინგის მისიისათვის დახმარების გაწევის გზები და საშუალებანი და ხელი შეუწყონ მხარეებს შორის ურთიერთგაგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის სულისკვეთებით.

ბოლოდ

ფაქტები

● **პარიზი**, 6 თებერვალი. (საკდესი). მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისების დარგში თანამშრომლობის შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების პროგრამის შესაბამისად ამ თვეში ქალაქ ბორდოს ახლოს ლანგის დეპარტამენტის პოლიგონიდან გაუშვეს ოთხი ფრანგული რაკეტა-ზონდი „დრაკონ-11-3“, რომლებზეც იდგა საბჭოთა სამეცნიერო ხელსაწყოები.

რაკეტების გაშვების მიზანია შეისწავლონ ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობა 100-დან 450 კილომეტრ სიმაღლეზე და მისი ცვლილება დღე-ღამის მიხედვით.

● **ბელგრადი**, 5 თებერვალი. (საკდესი). იუგოსლავიის დედაქალაქში გუშინ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა და მიიღო მთელი რიგი დოკუმენტები. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მომავალი მე-9 ყრილობისათვის.

● **პარიზი, 6 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ საერთაშორისო კონფერენციათა სახლში კლებერის ავენიუზე დაიწყო ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი თათბირის მესამე პლენარული სხდომა.**

● **დამასკო**, 5 თებერვალი. (საკდესი). სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ აქ მოაწყო ფოტოგამოფენა „დევიზით „სსრ კავშირი — არაბი ხალხის მეგობარი“.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ სირიის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი.

კლეი შოუს გასამართლება

ახალი ორლეანი, 6 თებერვალი. (საკდესი). **ახალი ორლეანის საოლქო სასამართლომ, როგორც იქნა, გუშინ დაამთავრა ნაფიც მსაჯულთა შერჩევა. 1200 კანდიდატისაგან სასამართლომ შეარჩია 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც გამოიტანენ განაჩენს ახალორლეანელი ბიზნესმენის კლეი შოუს საქმის გამო, რომელსაც ბრალად ედება შეთქმულება პრეზიდენტ ჯონ კენედის მოკვლის მიზნით.**

დღეს ახალი ორლეანის საოლქო პროკურორი ჯიმ ჰარისონი წარადგენს საბრალდებო დასკვნას.

ყოფილი მინისტრი ამხილებს

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკდესი). „ორმაო ფრონტელთა მიგრაციის ქვლევის საბჭოთ წყნარ ოკეანეში ეძებს შორეულ კუნძულს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საბრძოლო ნივთიერებებით ექსპერიმენტების მოსაწყობად“,— წერს დღეს ამერიკელი ჟურნალისტი ჯონ ფინი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს ამბავი გუშინ ამხილა კომპანია „ენ-ბი-სის“ სატელევიზიო პროგრამით გამოსვლისას ყოფილმა სენატორმა პენსილვანიის შტატისაგან ჯოზეფ კლარკმა.

პენტაგონი, განაცხადა კლარკმა, ორონანსებს წყნარი ოკეანის კუნძულებზე ფრონტელთა მიგრაციის თავისებურებათა შემსწავლელი სმიტსონის ინსტიტუტის ქვლევით პროგრამას. ეს პროგრამა „შირმაა“ იმისათვის, რათა გამოძებრნონ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოსაცდელი ადგილები.

ჯოზეფ კლარკმა გუშინ თქვა, რომ 1965 წლის ბეიერის კუნძულ ჰაკის კუნძულებიდან 1.700 მილზე მოეწყო ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიოლოგიური საბრძოლო ნივთიერებების გამოცდა. ეს კუნძული გამოიცალეს სმიტსონის ინსტიტუტის თანამშრომლებმა საკვლევი პროგრამის შესრულების დროს.

სტატიის ავტორი ჯონ ფინი აღნიშნავს, რომ სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ტექნიკურ სამდივნოს აქვს ცნობები, რომლებიც საფუძველად უდევს ჯ. კლარკის განცხადებას.

ფერილი სენატს

ვაშინგტონი, 5 თებერვალი. (საკდესი). **პრეზიდენტმა ნიქსონმა მოუწოდა სენატს დაამტკიცოს უახლოეს დროში ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება. ამ მოწოდებას შეიცავს სენატისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც დღეს აქ თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა.**

ეს ძალები საკმაოდ დიდია, ხოლო ბევრი ამერიკელი სპეციალისტი თვლის, რომ ისინი გადამეტებულად დიდია. მათს რიცხვს ეკუთვნის ამერიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი რობერტ მაკნამარაც. წიგნში „უშიშროების არსი“ მან გამოთქვა აზრი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომური იარაღი „იმაზე მეტი აქვთ, რაც საჭიროა“.

იყო დრო, ამბობენ ეს სპეციალისტები, როცა პოტენციური მტრის მიმართ სამხედრო უპირატესობა აქსიომად ითვლებოდა. ვისაც ჰყავდა დივიზიები, მეტი ცხენები, ჰქონდა მეტი ტანკები, თვითმფრინავები, მას გამარჯვების მეტი შანსიც ჰქონდა. მაგრამ ეს ასახვა ჰპოვა ატომური ძალების მშენებლობის საბოლოო პროგრამაში, რომელიც მიიღო და განახორციელა მაკნამარამ: „მინიტმენის“ ტიპის 1.000 რაკეტა, „პოლარისის“ ტიპის 656 რაკეტა, რომლებიც განლაგებულია 41 ატომურ წყალქვეშა ნავზე, და დაახლოებით 600 შორსმჭვრეტი ბომბდამშენი. თუმცა ახლა მაკნამარა აღიარებს, რომ გადამეტებულად ეცადა და „მდინარეზე უფრო ფართო ხიდი ააგო“, სავსებით საკმარისი იქნებოდა სტრატეგიული იარაღის ნაკლები რაოდენობაც.

სამწუხაროდ, ამერიკის თავდაცვის მინისტრის პოსტზე მისი რესპუბლიკელი „მემკვიდრე“ მელვინ ლეირდი განაგრძობს მოძველებული კატეგორიებით აზროვნებას. ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის ის მიერ იმ განცხადების გამეორება, რომელიც გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის „საშხედრო უპირატესობის“ მიღწევის აუცილებლობას, ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას მოლაპარაკება აწარმოოს „უპირატესობის პოზიციებიდან“ და ა. შ. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ლეირდის იმ გეგმების გაცნობა, რომლებშიც დასახულია ამერიკის ატომური ძალების შემდგომი ზრდა იმ დონეზე მეტად, რომელიც მაკნამარას მიერ ნავარაუდევი, მიღწეული იყო და რომელსაც იგი ზედმეტადაც კი თვლიდა.

კვლავ ყველაზე მაღლა დგას ამერიკის სამხედრო ფრიფისა და სამხედრო მონოპოლიების ინტერესები, კვლავ ემუქრება მსოფლიოს გამალებული შეიარაღების გაძლიერება. კვლავ ფონგლეიორობენ სიტყვებით „თანასწორობა“ და „უპირატესობა“, პირველით აშინებენ და მოითხოვენ მეორეს, და ამას იმ იმედით ამბობენ, თითქოს მკითხველი ვერ ამჩნევდეს, რომ ამ სიტყვების შინაარსი შეიცვალა.

ამ პირობებში პრეზიდენტ ნიქსონის სემანტიკურ ახსნა-განმარტებას სასარგებლო სიზუსტის შეტანა შეუძლია. თუ ნიქსონის მინისტრები მის რეკომენდაციებს უურად იღებენ და „სამხედრო უპირატესობის“ შესახებ მსჯელობისაგან თავს შეიკავებენ, ტერმინ „საკმარისით“ დაკმაყოფილდებიან, მაშინ გამალებული შეიარაღების მომხრეებს ნაკლები არგუმენტები ექნებათ და მეტი შესაძლებლობა შეიქმნება მშვიდობისა და განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის.

ახალი ამბების საბჭენტო.

რ. ნიქსონი და სემანტიკა

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ამას წინათ გამართული პირველი პრეს-კონფერენცია არ იყო გადატვირთული მოულოდნელობებით, და იმ გამოცდილი მოჭადრაკის ფრთხილ დებიუტს ჰგავდა, რომელიც არ აპირებს პირველი სვლიდანვე რისკი გასწიოს.

პრეზიდენტს ისეთი არაფერი უთქვამს, რაც მას ხელებს შეუბოჭავდა ახლო აღმოსავლეთის, ვიეტნამისა თუ განიარაღების საკითხში. მართალია, მან აღნიშნა თეთრი სახლის ირგვლივ ქუჩების განათების გაუმჯობესება საღამოს გასეირნების უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ ოდნავაც არ მოჰფინა დამატებითი ნათელი ამერიკის პოზიციას იმ საერთაშორისო პრობლემების მიმართ, რომლებსაც შეეხო, და ეს გაამართლა იმით (შესაძლოა სავსებით გონივრულადაც), რომ პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს ორგანიზებული წესით და არა პრეს-კონფერენციებზე.

მიუხედავად ამისა, ყურადღებას იქცევს პრეზიდენტის ერთი სემანტიკური ახსნა-განმარტება, რომელიც შეეხება ამერიკის შეიარაღებული ძალების მიმართ უფრო მეტად სიტყვა „საკმარისის“ ხმარებას სიტყვა „უპირატესობასთან“ შედარებით.

ეს ძალები საკმაოდ დიდია, ხოლო ბევრი ამერიკელი სპეციალისტი თვლის, რომ ისინი გადამეტებულად დიდია. მათს რიცხვს კიდევ არ ნიშნავს, რომ იმას, ვისაც მეტი ატომური იარაღი აქვს, გამარჯვების მეტი შანსიც ჰქონდეს.

ცხენების, ხმლების, თოფების თვლას აზრი ჰქონდა იმიტომ, რომ რამდენიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ყოველთვის საკმარისი არ იყო. მაგრამ ატომური იარაღის დამაგრეველი ძალა იმდენად დიდია, რომ მის გარკვეულ საბოლოო რაოდენობას შეუძლია დაკმაყოფილოს ყველა „მოთხოვნილება“.

უპირატესობის შესახებ მსჯელობას, განაგრძობენ ეს სპეციალისტები, აზრი აღარა აქვს იმიტომ, რომ ატომური რაკეტებისათვის არსებობს ხელმისაწვდომი არითმეტიკული ზღვარი, რომელიც უდრის პოტენციური მიზნების რიცხვს, გამრავლებულს რაკეტების დამტვერი მოწყობილობის მეშვეობით შესაძლო დანაკარგების კოეფიციენტზე, რომელიც ახლანდელ პირობებში არ შეიძლება აბსოლუტური იყოს.

ამრიგად, ამ შემთხვევაში სიჭარბე აღარ ნიშნავს უპირატესობას და იგი, როგორც ცნება, სამხედრო თვალსაზრისით უაზრო ხდება. აგრესორის ყოველგვარ ცდა მიაღწიოს შედარებით უპირატესობას, დასაწყისშივე ნეიტრალიზებულია მეორე მხრის განაკრგულებაში არსებული აბსოლუტური სიმძლავრით, რომელიც მას აგრესორის განადგურების გარანტიას აძლევს. მაკნამარა ამ აზრს თავის წიგნში შემდეგნაირად გამოხატავს: „როგორიც არ უნდა იყოს რიცხობრივი უპირატესობის მიღწევის პრაქტიკული შესაძლებლობანი, უცილობელ ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირს მისი ახლანდელი ძალებით შეუძლია საკმაოდ ეფექტურად დაანგრიოს შეერთებული შტატები იმის შემდეგაც კი, ამერიკამ რომ სრული სიძლიერით პირველი დარტყმა მიაყენოს“.

გამალებული ატომური შეიარაღების რაოდენობრივი ზღვარის ჯერუბობის აღიარებამ თავისი ეკუთვნის ამერიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი რობერტ მაკნამარაც. წიგნში „უშიშროების არსი“ მან გამოთქვა აზრი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომური იარაღი „იმაზე მეტი აქვთ, რაც საჭიროა“.

**ეს ეხება ეს ეს ეს

ამას შენზე ამბობენ, ჩემო სამშობლოვ!

ვიეტნამელები ქართულ კათედრაზე

სამიოდე წლის წინათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტთა შორის გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომელთაც არა მარტო გვარები ჰქონდათ უცხო, არამედ საგრძნობლად გამორჩეულნენ გარეგნულადაც. ესენი გახლდნენ ვიეტნამის წარმოგზავნილები, ასპირანტები — ნგი�p ჩუნგ ლანი ქალაქ ჰანოიდან და ნგუენ ვიეტ ტი — პროვინცია თანჰუადან...

გავიდა შრომისა და სწავლის ღაძაბული წლები, და აი ვიეტნამელი ახალგაზრდები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უნივერსიტეტის სახელობის საატო დარბაზში, სადაც რამდენიმე ვიეტნამელი ახალგაზრდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ესწრებიან, — ტრიბუნაზე დგანან და ქართველი მეცნიერების წინაშე იცავენ სადისერტაციო შრომას, რომელსაც ისინი სამი წლის განმავლობაში ქმნიდნენ.

სპეციალური ოპონენტები, პროფესორები ზ. ხანთაძე და ა. კიზირია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. კოპალიანი, დოცენტი დ. გუშუშვილი დაწვრილებით განიხილავენ უცხოელი მეგობრების სადისერტაციო შრომებს, ძირითადად იწონებენ მათ, გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებსაც, ურჩევენ, როგორ გამოიყენონ ისინი შემდგომ მუშაობაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ორივე დისერტანტს ერთხმად მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი: ვიეტნამელებს გულთბილად ულოცავენ ქართველი კოლეგები, მეცნიერები, სტუდენტები.

ლანმა 1961 წელს დაამთავრა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საინჟინრო ინსტიტუტი და ოთხი წელი იმუშავა ჰანოიში — სახელმწიფო მეურნეობის სამინისტროში, ხოლო ტის კიევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მექანიზაციის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და თავის სამშობლოში სულ რაღაც ორიოდე თვის მუშაობის შემდეგ გამოგზავნეს სსრ კავშირში მექანიზაციის დარგში სამეცნიერო ხარისხისათვის მოსამზადებლად.

ისინი მოხვდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის კათედრაზე, რომელსაც სსრ კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. შხვაცაბაია ხელმძღვანელობს.

— ვიეტნამელი ასპირანტები ჩვენთან სამ წელიწადს სწავლობდნენ, — გვეუბნება სიუბარში პროფესორი გ. შხვაცაბაია, — ისინი დაეუფლნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების და სატრაქტორო აგრეგატების გამოკვლევისა და გამოცდის მეთოდებს. ვეცადეთ უველაფერი შეგვესწავლებინა მათთვის როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. სწავლეობა მოწყობილი იყო ძირითადად მათი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, ვიეტნამში წამყვანი კულტურებია ბრინჯი, სიმინდი, აგრეთვე სუბტროპიკული კულტურები — ძირითადად ყავა, ჩაი და ციტრუსები. ამ კულტურების მიხედვით შევურჩიეთ მათ სადისერტაციო თემები, რომლებიც შეთანხმებული იყო ჰანოიში სოფლის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობებში. ჩაის საკითხზე ლანი ძირითადად ინგლისა და ლაითურის საბჭოთა მეურნეობებში და ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას. სიმინდის მოვლა-მოყვანის მეთოდებს და მექანიზაციას საქართველოს გარდა კრასნოდარის მხარეშიც ეუფლებოდა.

— სწავლისა და შრომისათვის უველა პირობა გვქონდა შექმნილი, — გვეუბნებიან ვიეტნამელები, — — აქ ისე ვგრძნობდით თავს, როგორც სამშობლოში. უსაზღვროდ მადლიერი ვართ ჩვენი მეცნიერი ხელმძღვანელის, პატივცემული გიორგი შხვაცაბაიას. ეკონომიური ეფექტიანობის დასაბუთებას. მათ შეისწავლეს მანქანების გამოცდისათვის საჭირო საზომ-საკონტროლო ხელსაწყოთა კონსტრუქციები, დაეუფლნენ მანქანების გამოცდის მეთოდებს, გაეცნენ ამ მანქანების ნაკლოვან და დადებითს მხარეებს, და ახლა უკვე მაოზეა დამოკიდებული, თუ თავიანთ ქვეყანაში როგორ გამოიყენებენ საქართველოში შეძენილ ცოდნას, თავიანთი პირობების მიხედვით რა შესწორებას შეიტანენ ამ მანქანებში. კმაყოფილი ვარ, რომ დისერტანტებს დრო უქმად არ დაუკარგავთ, ისწავლეს და თავიანთ მეცნიერული სიტყვაც თქვეს.

ვიეტნამელი ასპირანტების თეორიული და ლაბორატორიული სამუშაოები წარმოებდა ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ჩაის საკითხზე ლანი ძირითადად ინგლისა და ლაითურის საბჭოთა მეურნეობებში და ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას. სიმინდის მოვლა-მოყვანის მეთოდებს და მექანიზაციას საქართველოს გარდა კრასნოდარის მხარეშიც ეუფლებოდა.

— სწავლისა და შრომისათვის უველა პირობა გვქონდა შექმნილი, — გვეუბნებიან ვიეტნამელები, — — აქ ისე ვგრძნობდით თავს, როგორც სამშობლოში. უსაზღვროდ მადლიერი ვართ ჩვენი მეცნიერი ხელმძღვანელის, პატივცემული გიორგი შხვაცაბაიასი. წლების მანძილზე არ მოგვკლებია მისი არა მარტო მეცნიერული დახმარება, არამედ მშობლიური სიობო, ალერსი. გვეპყრობოდა ისე, როგორც ღვიძლ ადამიანებს. ცოტათი მაინც რომ გადავუხადოთ ამაგი, ვეცდებით კარგად ვიმუშაოთ ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანაში. ჩვენ უველგან მთელ რესპუბლიკაში — ინსტიტუტში, სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ მეურნეობებში ვგრძნობდით ხალხის გულთბილ დამოკიდებულებას. უველა, დიდი თუ პატარა, მზად იყო უველაფერი გაეწიოთ ჩვენთვის. ამიტომ მოგვწონს თქვენი ადამიანები. ქართული სტუმართმოყვარეობა. ბევრი რამ საერთოა ჩვენს ქვეყნებს შორის. თქვენთან შევიძინეთ ბევრი მეგობარი, რომლებსაც არასოდეს არ დავივიწყებთ. გვეძნელება თქვენი ქვეყნის, მეგობრების დატოვება, მაგრამ სხვაგვარად არ შეგვიძლია, სამშობლო გვეძახის...

უსმენთ ამ ორ ახალგაზრდას, გესმით მათი მადლიერების სიტყვები და გრძნობთ, რომ მათ ნამდვილად ენანებათ ჩვენი მიწა-წყლის დატოვება.

ვინც ახლოს იცნობს ვიეტნამელი ასპირანტების საქმიანობას, მათს დიდ შრომისმოყვარეობას, საქმისადმი სიყვარულს, მეცნიერებისადმი სწრაფვას, მათ არ უკვირთ, რომ ისინი ასეთი შესანიშნავი ცოდნით, მეცნიერული ხარისხით უბრუნდებიან სამშობლოს.

ვიეტნამელები ამ დღეებში გაემგზავრნენ სამშობლოში. გზა მშვიდობისა, მეგობრებო!

ეთერ მამალაძე.

* * *

სურათებზე: სადაც დარბაზში დისერტაციის დაცვაზე. მარცხნიდან: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროორექტორი გ. ყანჩაველი, რექტორი ი. სარიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ტ. კოპალიანი, პროფესორი ზ. ხანთაძე, დისერტანტი ნგიმ ჩუნგ ლანი; მარჯვნივ — ტრიბუნაზეა დისერტანტი ნგუენ ვიეტ ტი.

ფოტო ა. ფიფიასი.

სახალხო უნივერსიტეტი სოფლად

თერჯოლა. (საკ. კორ.). თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი.

სახალხო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნულია რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგი ზ. არეშიძე. ლექციებს კითხულობენ — საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმები ა. მაღლაკელიძე, პ. წერეთელი, ა. სიმონგულოვი, ვ. მაკარიძე, ექიმები ნ. არაბიძე, ც. მაკარიძე, გ. ქორიაშვილი, ზ. მეტრიველი, შ. ხორავა.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მიამაგრებენ საექიმო უბნებზე სანიტარულ ინსპექტორებად.

საჩუქარი ეისკიდან

გურჯაანი. (საკ. კორ.). შრომით შედუღაბდა გურჯაანელ და ეისკელ (კრასნოდარის მხარე) მეგობართა სიყვარული, მამათა ტრადიციას მისდევენ შვილებიც. ამ ცოტა ხნის წინათ ეისკელმა პიონერებმა გურჯაანელ თანატოლებს კარუსელი „ვარსკვლავი“ გამოუგზავნეს საჩუქრად. ოცადგილიანი ბავშვთა ეს საყვარელი ატრაქციონი კულტურისა და დასვენების პარკში დამონტაჟდა.

ევროპის ჩემპიონატზე

დასავლეთ გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირჰენის საციგურაოზე საბჭოთა „დინამოს“ მიერ მოპოვებულმა წარმატებამ საერთო აღიარება ჰპოვა.

მაგრამ ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში ამით არ ამოწურულა. წინ აბრა ერთეულთა ასპარეზობა, აგრეთვე ციკლები. სასიამოვნოა აღინიშნოთ, რომ ბავშვთა შორის საკალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ს. ჩერეტელი მესამე ადგილზე იმყოფება. აქ ლიდერობას ინარჩუნებს ჩეხოსლოვაკიელი ფიგურისტი ო. ნეველა.

საპრზო ადგილების მოპოვებას შანსებს ინარჩუნებენ ამერიკელ საბჭოთა სპორტსმენები ცეკვებში. ორი ვარკვლის შემდეგ მოსკოველებს ლ. პახომოვასა და ა. გორშკოვს მესამე ადგილი უკავიათ. ლიდერები კი ინგლისელი ფიგურული მოციგურავეები დ. ტაული და ბ. ფორდი არიან.

ზამთარი ჯერ კიდევ ძალაშია, მაგრამ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებლს ქეთევან გელაშვილს თავისუფალ დროს მოსწავლეები სუფთა ჰაერზე გაჰყავს და უკითხავს კლასგარეშე საინტერესო ლიტერატურას.

სურათზე: 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. გელაშვილი მეორეკლასელებთან ვაკის პარკში.

ფოტო ბ. ბოგოსიანი.

სპორტი

პირველი წრის ფინიში

ამოიწურა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. 5 თებერვალს ლენინგრადში გაიმართა უკანასკნელი ტურის მატჩები.

ამ დღის ცენტრალურ ასპარეზობას ლიდერების — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და მოსკოვის ოლქის „სპარტაკის“ გუნდების შეხვედრა წარმოადგენდა. სპარტაკელებმა, რომლებსაც აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონებს — რიგელ კალათბურთელებს და დამარცხდნენ ანგარიშით 28:56.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის სტაბილური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კიდევ ერთი მატჩი წააგეს, ამჯერად სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ 56:62. ლენინგრადის სპარტაკელებმა სძლიეს ნოვოსიბირსკის „დინამოს“ 50:46, მოსკოვის დინამოელებმა — ტარტუს უნივერსიტეტის საკლუბო გუნდს 77:63. ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და ვილნიუსის „კიბირკშტისის“ მატჩის შედეგია 51:48 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

პირველი წრის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი. რომელმაც თერთმეტიდან თერთმეტივე შეხვედრა მოიგო და 11 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 9 ქულა, მესამეზე — ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 8 ქულა. მომდევნო სამი ადგილი შვიდ-შვიდი ქულით უჭირავთ მოსკოვის „დინამოს“, ლენინგრადის „სპარტაკსა“ და ვილნიუსის „კიბირკშტისს“.

სტუდენტთა საკავშირო

ბათუმში გრძელდება სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრება ჭადრაკში. 6 თებერვლამდე გათამაშდა 9 ტური. სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს გიორგაძეს ვხედავთ.

მეცხრე ტურში გიორგაძე ალმავლობით ებრძოდა გრიგორიანის წინააღმდეგ და აქტივში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. შეუპოვარი გამოდგა უბილავასა და ჯინჯიხაშვილის პარტია. წარმატება უბილავას ხვდა. კუპრეიჩიკმა დაამარცხა გულკო, რაზუვაევმა — კაპენგუტი.

ცხრა ტურის შემდეგ გიორგაძეს 6,5 ქულა აქვს, კუპრეიჩიკს — 6 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, რ. ჯინჯიხაშვილს, ანიკაევასა და რაზუვაევს — ხუთ-ხუთი ქულა.

ქ. თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1969 წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს:

1. მექანიკური დანადგარების ამწყობ ზეინკლებს; 2. მტვიფრავებს, 3. ტვიფრებისა და სამარჯვების დამამზადებელ ზეინკალ-მეიარაღეებს.

სწავლების ხანგრძლივობაა ერთი წელი.

მიიღებიან საშუალო და არასაშუალო განათლების მქონე ვაჟები და გოგონები 17-დან 25 წლამდე. სწავლის პერიოდში მიეცემათ სტიპენდია — თვეში 23 მანეთი. წარჩინებულ მოსწავლეებს სტიპენდია გაუდიდდებათ 25 პროცენტით, აგრეთვე აუნაზღაურდებათ საწარმოში შესრულებული სამუშაოს ღირებულება დადგენილი წესით. კურსდამთავრებულნი სპეციალობის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით. სწავლების დრო ეთვლებათ უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

ფრიადზე კურსდამთავრებულნი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან უკონკურსოდ პროფილის მიხედვით.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: 1. სიმწიფის ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა; 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან სამხედრო მიწერის ბარათი (სამხედროვალდებულთათვის); 5. ექვსი ცალი ფოტოსურათი.

განცხადება მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა.

მისამართი — თბილისი, გორგასლის ქ. № 115, № 49 ტექნიკური სასწავლებელი.

ტელეფონი 93-61-83, **სამგზავრო ავტობუსი** № 19 და 23.

გაზეთება ქარხანა „ელექტროაგტომატი“.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1969 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

1. ენტომოლოგია; 2. მცენარეთა ფიზიოლოგია; 3. სასოფლო-სამეურნეო მანქანები; 4. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპლოატაცია და რემონტი; 5. მემცენარეობა; 6. სუბტროპიკული კულტურები.

დაუსწრებელ ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 45 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

განცხადებას ინსტიტუტის რექტორის სახელზე უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; 3. გამოქვეყნებული მეცნიერული შრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცნობები გამოგონების, საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ ან მეცნიერული მოხსენებები (რეფერატები) არჩეულ თემაზე სპეციალობის მიხედვით; 4. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი იმ პირთათვის, რომლებსაც უმაღლესი სკოლიდან რეკომენდაცია მიეცათ ასპირანტურაში შესასვლელად უშუალოდ უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ; 5. მოწმობა ფორმა № 6-ის მიხედვით საკანდიდატო მინიმუმის გამოცდის ჩაბარების შესახებ იმ პირთათვის, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ ჩააბარეს საკანდიდატო გამოცდები, 6. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული; 7. დოკუმენტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან). პასპორტი და დიპლომი უმაღლესი სკოლის დამთავრების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად ასპირანტურაში შემსვლელის მიერ.

ასპირანტურაში შემსვლელნი ამბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალურ დისციპლინაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სკოლის პროგრამის მოცულობით.

განცხადება მიიღება 1969 წლის 25 თებერვლამდე.

მისაღები გამოცდები 1969 წლის 5 მარტიდან. მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთ ეძლევათ ერთი თვის ფასიანი შვებულება მუშაობის ადგილზე, გამოცდებისათვის მოსამზადებლად.

მისამართი: სოხუმი-ქელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ქ. თბილისის № 51 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის კლასტმასის მწნეხავის სპეციალობაზე.

სასწავლებელში მიიღებიან გოგონები და ვაჟები საშუალო განათლებით 17-35 წლის ასაკამდე.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 36 მანეთის ოდენობით, ფრიადოსნები 45 მანეთს, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს გამომუშავებულ ხელფასს 33 პროცენტს.

მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ ფრიადზე უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან უკონკურსოდ საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე პროფილის მიხედვით.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. ფოტოსურათი 3X4 — 6 ცალი; 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).

სწავლა იწყება 15 თებერვლიდან.

შენიშვნა: მისაღები გამოცდები არ წარმოებს, ჩარიცხვა ხდება შერჩევით. განცხადებების მიღება გრძელდება. სწავლების ვადა ერთი წელია.

მისამართი: თბილისი, მაგნიტოგორსკის ქუჩა № 5 „პლასტმასის“ ქარხანა. № 51 ტექნიკური სასწავლებელი.

ტრამვაი: № 3, 5, 6, 11; **ავტობუსი:** № 11, 18, 24, 25, 46, 55; **მეტრო:** დიდუბე.

ტელეფონი: 66-05-80 და 66-18-29.

სასწავლებლის დირექცია.

გინდათ სამუშაოზე

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას

ესაჭიროება შემდეგ სპეციალობათა მუშები: **მგრეხავები, გადამხვევლები, მეპაპარატეები, აგრეთვე მოწყობეები** ამავე პროფესიების შესასწავლად. **სწავლების ვადა 3 თვე.** სწავლების პერიოდში ხელფასის ანაზღაურება იწარმოებს არსებული წესის მიხედვით.

მარტოხელა მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კადრების განყოფილებას, ტელეფონი — რუსთავის 7-6-76.

ქარხნის დირექცია.

საუნე მასალათა მრეწველობის სამინისტროს

დარგობრივ ტექნოლოგიურ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს

ესაჭიროება მუდმივ სამუშაოზე თბილისში:

ინჟინერ-მშენებლები — სამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტებისათვის;

ინჟინერ-სანტექნიკოსები — წყალსადენის, კანალიზაციის, გათბობის და ვენტილაციის სამუშაოების დაპროექტებისათვის.

ბიუროს მისამართი: თბილისი, 77, პავლოვის 34, ტელეფონი 31-17-44, კადრების განყოფილება.

ტელევიზია

7 თებერვალი

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 განცხადებები და რეკლამა, 18.40 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 19.00 — გადაცემა „ნოლაელები“, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები. დოკუმენტური ფილმები „ქვაში, ამეტყველებული საუკუნეები“, „ჩვენი კორნელია“, 21.00 — სატელევიზიო ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ინტერვიზიისათვის), 22.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.10 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 10 ს. და 45 წუთიდან.

თეატრები

7 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სეელვის პროცესი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული სახუმარო არ არის, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სხვდასხვა ოპერაცია, კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, მოზარდ მაყურებლთა ქართული — შეიდფეხა ყვავილი (№ 14 აბონ. დილას 10 ს. და 30 წ.), თოჯინების ქართული — ნანა ტყეში (დღის 11 ს. და 2 ს.).

რადიო

8 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.10 — განცხადებები, 08.30 — როსინი. ნაწყვეტები ოპერა „სევილიელი დალაქიდან“, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!“ (მოსკოვი), 11.05 — ვ. გოკიელი. მეორე საორკესტრო სიუიტა, 11.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 11.45 — მღერის ც. ციცკიშვილი, 12.00 — ციკლიდან „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“. ნარკვევი „პირველი ემელონი“, 12.10 — პ. ჩაიკოვსკი. ნაწყვეტები ოპერა „ევგენი ონეგინიდან“, 12.30 — მოსწავლეთათვის გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.45 — მსუბუქი მუსიკა, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ხ. ცინცაძე. მეექვსე სიმფონიანი კვარტეტი, 14.00 — „მხიარულ ტაღლაზე“, 14.30 — შუბერტი. „დაუმთავრებელი სიმფონია“, 15.00 — კ. ლორთქიფანიძე „ნატვრის თვალი“. რადიოდადგმა, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი საუბარი „შალიაპინის „ჩემი ცხოვრების ფურცლები“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. „მუსიკალური რადიოკლუბი“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — რ. გაბიჩვაძე. „ჩქარი მოძრაობა“; გ. ყანწელი. „ლარგო და ალეგრო“, 19.00 — დ. ლუჩნინოვი. „მემოდგმის სიმღერა“. რადიოდადგმა, 19.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ახალგაზრდობისათვის. კონცერტი „ახალგაზრდული ტალღა“, 21.00 — ძილისპირული, 21.15 — „ქართული წიგნი-69“, 22.00 — ე. ვირსალაძის კონცერტი, 22.50 — ბალაკირევი. აღმოსავლური ფანტაზია „ისლამეი“, 23.30 — ო. თაქთაქიშვილი. ხუთი ვოკალური პოემა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კინო

7 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, გაზაფხული, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, ყაზბეგი (I დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, სპორტა — **ჭვარცმული კუნძული**, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **მზვერავები**, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), ბათუმი, თანამგზავრი, ნაკადული — **ათასი ხიფათი**, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი — **ბერძენი ზორბა**, ბათუმი — **დღეობა** (5 ს.), **საქმის ხალხი** (1 ს.), ეკრანი — **ქალი და მამაკაცი**, ნაკადული — **ჩემი სიცოცხლე ხარ** (I, II სერია), ოფიცერთა სახლი — **კაპიტან ენრიკოს საათი**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი (ქართული ვარიანტი), კოლმეურნე, საქართველო (მწვანე დარბაზი) — **სანგამი** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **ორი კაპიტანი**, თანამგზავრი — **ოქროს ტყვია**, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ჭერეფინსკის სახელობის კლუბი — **შემოსვა**, კოსმოსი — **მარიტე** (11 ს.), **ჯორჯ ბელის დანაშაული**, **საქმე № 306** (1 ს.), **ჯოჯოხეთი გაიღო, დატუსაღებულნი** — (4 ს. და 30 წ.), **არგენტინელი ლამეები, იდუმალი ლტოლვილი** (8 ს.).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ჩვენი ცნობები

ქ. თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03953

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.